ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 71

21 ნოემბერი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე,ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:
საფინანსო საქალაქო სამსახური-გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახური- ლევან მიქავა.

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-ნინო კვეტენაძე

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური-მამუკა მუმლაძე

ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური- ანდრია ბასილაია

კულტურის,განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური- თამარ ხოჯიაშვილი

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური- ნანა ზაზანაშვილი

გარემოს დაცვის სამსახური- გიგა გიგაშვილი

ინფრასტრუქტურის სამსახური -ირინა ჭეიშვილი

სსიპ ბაღების მართვის სააგენტო- დავით კერესელიძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი.
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

3. ქალაქ თბილისში, დელისის მე-3 ჩიხი #22-ის მიმდებარედ არსებული 26 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.15.001.399) შპს „ინტერსტანდარტ საბურთალოსთვის“ (ს/ნ: 405187621) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე
4. ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში მდებარე 62 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (ს/კ: №81.02.36.094) პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე
5. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული №01.16.05.027.029 საკადასტრო ერთეულიდან 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და №01.16.05.032.024 საკადასტრო ერთეულიდან 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ი/მ „ადელინა ასლოევასთვის “ (ს/ნ: 01011090323) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე
6. „ქალაქ თბილისში, ვასილ თამარაშვილის ქუჩა N38-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.14.104.017) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“
7. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“
8. „ქალაქ თბილისში, ქუჩა მუხაძის, მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“
9. „ქალაქ თბილისში, ქუჩა გმირი კურსანტები, N1 -ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.301) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“
10. “ქალაქ თბილისში, დასახლება საქსოფმანქანა, კვარტალი IV, კორპუსი 5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.088) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე “
11. “ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივში, ზემო პლატოს კორპუს N42-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.019.010.01.078) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე “
12. “ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N8-ში (ნაკვეთი 05/040 საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.040) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“
13. “ქალაქ თბილისში, გლდანის I მიკრორაიონის კორპუს N3 ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.013) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“
14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე
15. დავით აღმაშენებლის ხეივნის მიმდებარედ 19 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:#01.72.14.006.877) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ ალალისთვის“ 9ს/კ 4253623410 იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

დღის წესრიგი დამტკიცდა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ ისაუბრა გაიოზ თალაკვაძემ.

2020 წლის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია 1 020 000,0 ათასი ლარით, რაც 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 92 368,6 ათასი ლარით მეტი, ხოლო 2019 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით 80 450,8 ათასი ლარით ნაკლებია.

ბიუჯეტის შემოსავლები დაგეგმილია 979 569,3 ათასი ლარით, ბიუჯეტში მომართულია დამატებითი ღირებულების გადასახადი - 470 608,9 ათას ლარი. ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლები შეადგენს 205 000,0 ათას ლარს, რაც 2019 წლის ბიუჯეტთან შედარებით 20 000,0 ლარით მეტია (ძირითადად გაზრდილია საწარმოთა ქონებაზე გადასახადი და შეადგენს 170 000,0 ათასი ლარს. ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 19 000,0 ათასი ლარი, მიწაზე ქონების გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი).

გრანტები 100 963,0 ათასი ლარი: მ.შ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტი 503,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი 100 000,0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები დაგეგმილია 202 997,4 ათასი ლარით. მ.შ. შემოსავლები საკუთრებიდან 8 600,0 ათასი ლარით, პროცენტებიდან მისაღები შემოსავლები დაგეგმილია 3 000, 0 ათასი ლარით, დივიდენდებიდან მისაღები შემოსავლები 20,0 ათასი ლარი. 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 3 000,0 ათასი ლარითაა გაზრდილი მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის, დაგეგმილია მოსაკრებელი დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (Iკატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე 1 000,0 ათასი ლარი. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი დაგეგმილია 70 000,0 ათასი ლარი. სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მისაღები შემოსავლები დაგეგმილია 51 000,0 ათასი ლარით (წინა წელთან შდარებით 13 000,0 ათასი ლარით მეტი), შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები განსაზღვრულია 7 092,4 ათასი ლარით. მოსაკრებელი ტერიტორიის დასუფთავებისათვის შეადგენს 48 000,0 ათას ლარს.

არაფინანსური აქტივების კლება დაგეგმილია 40 000.0 ათასი ლარი.

ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მისაღები შემოსავლები შეადგენს 4 000,0 ათას ლარს, ხოლო მიწის გაყიდვიდან მისაღები შემოსავლები განსაზღვრულია 36 000,0 ათასი ლარით.

გადასახდელები შეადგენს 1 020 000,0 ათას ლარს.

პრიორიტეტების მიხედვით:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება - გათვალისწინებულია 122 046,1 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - გათვალისწინებულია 269 046,9 ათასი ლარი.

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - განსაზღვრულია 111 348,1 ათასი ლარით. მ.შ გამწვანების ღონისძიებებისათვის - 43 056,1 ათასი ლარი, ხოლო დასუფთავების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 62 000,0 ათასი ლარი.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - პრიორიტეტში გათვალისწინებულია 7 127,5 ათასი ლარი.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პრიორიტეტში გათვალისწინებულია 38 296,3 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 151 695,8 ათასი ლარი. პრიორიტეტში ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე გამოყოფილია 16 722,0 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვის პროგრამებისათვის 134 973,8 ათასი ლარი.

განათლების პრიორიტეტი შეადგენს 168 559,6 ათას ლარს.

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის პრიორიტეტში გათვალისწინებულია 41 835,6 ათასი ლარი.

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება გათვალისწინებულია 6 601,2 ათასი ლარი.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შეადგენს 103 442,9 ათასი ლარს.

ბიუჯეტის პროექტის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კომისიის წევრების შეკითხვებზე განმარტეს ირინა ჭეიშვილმა, ანდრია გველესიანმა, მამუკა მუმლაძემ. მათ დაწვრილებით ისაუბრეს იმ პროექტებზე რაც გაწერილია 2020 წლის ბიუჯეტში.

აღინიშნა, რომ 2020 წელს დაიწყება ისნის რაიონში, ქეთევან დედოფლის გამზირის რეაბილიტაციის სამუშაოები (6,085,2 ათასი ლარი) ვაჟა-ფშაველას გამზირის რეაბილიტაციის სამუშაოები (7,832,9 ათასი ლარი); დიდუბის რაიონში, აკაკი წერეთლის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოები (6,736,5ათასი ლარი) შეშელიძის ქუჩის მიმდებარედ დამეწყრილი უბნის საყრდენი კედლებით გამაგრების პროექტირება-მშენებლობის სამუშაოები (გარდამავალი) – 10 000,0 ათასი ლარი; გლდანის ხიდების რეაბილიტაცია, თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირის და მარჯვენა სანაპიროს გზაჯვარედინის მოწყობის სამუშაოები - 10 000,0 ათასი ლარი. ისევ გრძელდება ორბელიანის და გუდიაშვილის მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიების რეაბილიტაცია. ისაუბრეს ასევე მგზავრთა მომსახურებისა და უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი მეტროს მოძრავი შემადგენლობის (ვაგონების) მოდერნიზაციასა (მოდერნიზაცია ჩაუტარდება 5 ცალ ვაგონს) და ავტობუსების შეძენასთან დაკავშირებით. შეძენილი იქნება 28 ერთეული, თანამედროვე, ევროპული სტანდარტების მქონე, დიზელზე მომუშავე 8 მეტრიანი ავტობუსი, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ ოთარ გრიგოლიამ კომისიის წევრებს განუცხადა, რომ 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილა ყველა კომისიამ და ფრაქციამ. კომისიაში წარმოდგენილია ყველა მუდმივმოქმედი კომისიის და ფრაქციების: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო", „ქართული ოცნება-კონერვატორები", „ქართული ოცნება-მრეწველები"-ს და დამოუკიდებელი დეპუტატის ჯაბა ჯიშკარიანის წინადადებები და რეკომენდაციები. ძირითადი შენიშვნები და წინადადებებია : გამწვანების ღონისძიებებისთვის ბიუჯეტის გაზრდა, რათა გაჩნდეს მეტი ახალი რეკრეაციული სივრცე და რეაბილიტირდეს არსებული. შ.პ.ს. ,,ეკოსერვის ჯგუფის" ბიუჯეტის გაზრდა რაც უნდა აისახოს ტექნიკური მუშა-ხელისთვის ხელფასების ზრდაში. კომისიებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ რაიონის გამგეობების პროპორციული დაფინანსება, მათი ტერიტორიების და მოსახლეობის გათვალისწინებით. თბილისის დენდროლოგიური პარკის რეაბილიტაციისა და დიღმის ტყე-პარკის სარწყავი სისტემის (ტექნიკური წყლით მორწყვის) პროექტისთვის დამატებით თანხების გამოყოფა. მწვრთნელთა მხარდაჭერის ქვეპროგრამისთვის, მწვრთნელთა 12 თვით წახალისების დასაფინანსებლად თანხების გაზრდა; „სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და მშენებლობის" (კოდი 08.06.04) ქვეპროგრამისთვის, დამატებით ერთი სპორტული ცენტრის პროექტის შესაძენად თანხების გათვალისწინება. მიზანშეწონილად მიაჩნიათ, ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამებს დაემატოს ,,გაფანტული სკლეროზით'' და ,,კოქსართროზით'' დაავადებულთა მკურნალობის ქვეპროგრამა.

რეკომენდაციას უწევენ თბილისის საჯარო საბავშო ბაგა-ბაღებში თანამშრომლების სახელფასო განაკვეთების ზრდას 2020 წლიდან და თბილისის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული თანამშრომლების ღირსეული ანაზღაურების საკითხის დღის წესრიგში დაყენებას. ასევე საბიუჯეტო პროგრამის „შემოქმედებითი თბილისი" (კოდის 08 09) ასიგნებების გაზრდას.

ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისია , კომისიების წინადადებებს და მოსაზრებებს „ქალაქ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის“ შესახებ, გადააგზავნის საკრებულოს თავმჯდომარესთან და მიზანშეწონილია, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, კომისიებისა და ფრაქციების დასკვნებთან ერთად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მერს.
კენჭი უყარეს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე- 9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა, აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი- ანდრია ბასილაია

თბილისში რეგულარული საქალაქო ტრანსპორტის და სპორტის დარგით დაინტერესებული ეკონომიკური აგენტები და დარგის მმართველი სახელმწიფო უწყებები მომართავენ ადგილობრივ თვითმმართველობას და აღნიშნავენ, რომ ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ტრანსპორტისა და სპორტის სხვადასხვა სახეობებში, არის დიდი საბალანსო ნარჩენი ღირებულების მქონე, რის გამოც მათ უგროვდებათ დიდი საგადასახადო ვალდებულებები ქონების გადასახადის ნაწილში. აღნიშნული დავალიანების დაფარვა შეუძლებელია, რადგან ეს დარგები არაა მომგებიანი და ითხოვენ გადასახადის დაბალი განაკვეთის დადგენას. აქედან გამომდინარე რეზიდენტი საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობისა და მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1%-ი, ხოლო საქმიანობისათვის სპორტის დარგში, (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სექცია R, განყოფილება 93, ჯგუფი 93.1-ის კლასი 93.11, 93.12 და 93.13) მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობისა და მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 0,001%-ი, და თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ სახღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), მიწისზედა ელექტროტრანსპორტითა და საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას განსაზღვრული ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი (0,001%) გავრცელდა 2021 წლის 1 იანვრამდე“.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დელისის მე-3 ჩიხი #22-ის მიმდებარედ არსებული 26 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.15.001.399) შპს „ინტერსტანდარტ საბურთალოსთვის“ (ს/ნ: 405187621) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

მოხსენებელი- ნინო კვეტენაძე

შპს „ინტერსტანდარტ საბურთალოსთვის“ იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა 26 კვმ მიწის ნაკვეთი საფეხმავლო კიბის მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადაა 5 წელი, წლიური საიჯარო ქირა 300 ლარი.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში მდებარე 62 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (ს/კ: №81.02.36.094) პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მოხსენებელი- ნინო კვეტენაძე

მთაწმინდის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, შინდისის მოსახლეობის სასმელი წყლის უზრუნველყოფისთვის, #81.02.36.094 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გამგეობის მიერ აშენებული სატუმბო სადგური, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაეცემა ამხანაგობა „სოფელ შინდისის მოსახლეობას“. წარმოდგენილია ამხანაგობის თავმჯდომარის წერილობითი თანხმობა.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული №01.16.05.027.029 საკადასტრო ერთეულიდან 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და №01.16.05.032.024 საკადასტრო ერთეულიდან 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ი/მ „ადელინა ასლოევასთვის “ (ს/ნ: 01011090323) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მოხსენებელი- ნინო კვეტენაძე

ი/მ „ადელინა ასლოევას“ იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე 23 კვმ და 11 მიწის ნაკვეთები ღია კაფეს მოსაწყობად 2020 წლის 1 ივნისამდე ვადით. წლიური საიჯარო ქირაა 6200 ლარი.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ვასილ თამარაშვილის ქუჩა N38-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.14.104.017) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

მოხსენებელი- ნინო კვეტენაძე

7 ოჯახს პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად გადაეცემათ, საერთო ჯამში 362,44 კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

მოხსენებელი- ნინო კვეტენაძე

3 ოჯახს პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად გადაეცემათ საერთო ჯამში 137,11 კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ქუჩა მუხამის, მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".

მოხსენებელი- ნინო კვეტენაძე

13 ოჯახს პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად გადაეცემათ საერთო ჯამში 567 კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ქუჩა გმირი კურსანტები, N1 -ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.301) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".

მოხსენებელი- ნინო კვეტენაძე

9 ოჯახს პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად გადაეცემათ საერთო ჯამში 320,51 კვმ საცხოვრებელი ფართი. აღნიშნული პირები ცხოვრობენ 2005-2007 წლიდან

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, დასახლება საქსოფმანქანა, კვარტალი IV, კორპუსი 5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.088) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მოხსენებელი- ნინო კვეტენაძე

მოქალაქე თემურ ხაჩიძეს, სიმბოლურ ფასად გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე 36 კვმ საცხოვრებელი ფართი. საჯარო რეესტრის ამონაწერით მას სხვა ქონება არ უფიქსირდება.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივში, ზემო პლატოს კორპუს N42-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.019.010.01.078) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე "

მოხსენებელი- ნინო კვეტენაძე

მოქალაქე ედუარდ ხუხუნაშვილს, სიმბოლურ ფასად გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე 35,75 კვმ საცხოვრებელი ფართი. საჯარო რეესტრის ამონაწერით მას სხვა ქონება არ უფიქსირდება.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N8-ში (ნაკვეთი 05/040 საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.040) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე"

მოხსენებელი- ნინო კვეტენაძე

4 მოქალაქეს, სიმბოლურ ფასად გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე საერთო ჯამში 129,71 კვმ საცხოვრებელი ფართი. საჯარო რეესტრის ამონაწერით მათ სხვა ქონებები არ უფიქსირდებათ.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, გლდანის I მიკრორაიონის კორპუს N3 ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.013) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე"

მოხსენებელი- ნინო კვეტენაძე

17 ოჯახს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ფლობენ ფართებს, სიმბოლურ ფასად გადაეცემათ საერთო ჯამში 304,52 კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე

მოხსენებელი- ნინო კვეტენაძე

შალვა ასიტაშვილს , 2011 წელს თბილისის მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობებით, საკუთრებაში გადაეცა მისამართზე: ქ. თბილისი, წყნეთი, ჭავჭავაძის ქ. N13-ში, პირველ სართულზე არსებული ბინა N2 (ფართობი: 114.39 კვ.მ, საკადასტრო კოდი: 01.20.01.017.076.01.002), შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთით, მე-2 სართულზე არსებული ბინა N4 (ფართობი: 113,06 კვ.მ, საკადასტრო კოდი: 01.20.01.017.076.01.004) შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთით, და სარდაფი (ფართობი: 85,21 კვ.მ, საკადასტრო კოდი: 01.20.01.017.076.01.501) შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთით. ამავე ხელშეკრულების მას დაევალა საპრივატიზებო საფასურის გადახდა. მოქალაქის მიერ ვალდებულების არ შესრულების გამო, 2013 წელს თბილისის მთავრობის დადგენილების შესაბამისად, ცალმხრივად მოიშალა თბილისის მერიასა და შალვა ასიტაშვილს შორის, 2011 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულება. ამასთან, თბილისის მერიამ, შალვა ასიტაშვილისათვის თბილისის მერიის სასარგებლოდ, 24 009,6 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ, სასარჩელო მოთხოვნით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომელიც დაკმაყოფილდა და შალვა ასიტაშვილს დაეკისრა თბილისის მერიის სასარგებლოდ, 24 009,6 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდა. მოგვიანებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 26/12/2017წ. N48.06.964 განკარგულებისა და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16.01.2018წ. N1 განკარგულების საფუძველზე, თბილისის მუნიციპალიტეტის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შალვა ასიტაშვილს შორის გაფორმდა „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" 02/03/2018წ. ხელშეკრულება, რის საფუძველზეც, ამ უკანასკნელს საკუთრების უფლებით გადაეცა დაბა წყნეთში, ჭავჭავაძის ქუჩა N13-ში, პირველ სართულზე არსებული ბინა N2 (ფართობი: 114.39), მე-2 სართულზე არსებული ბინა N4 (ფართობი: 113,06 კვ.მ) და სარდაფი (ფართობი: 85,21)(უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.20.01.017.101) სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად. ამასთან, „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" 2011 წლის 1 აგვისტოს ხელშეკრულებისა და

„უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ 02/03/2018წ. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს იდენტური უძრავი ქონება. ვინაიდან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 26/12/2017წ. N48.06.964 განკარგულებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16.01.2018წ. N1 განკარგულების მიღების მიზანს წარმოადგენდა დედაქალაქის ცალკეულ მაცხოვრებელთათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და მათთვის გარკვეული ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვაში ხელშეწყობა და ვინაიდან შალვა ასიტაშვილის მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს იმ უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო, რომელზე საკუთრების უფლებაც, ამ უკანასკნელს გადაეცა „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ 02/03/2018წ. ხელშეკრულების შესაბამისად, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნა, რომ მოქალაქე შალვა ასიტაშვილი გაათავისუფლოს „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ 2011 წლის 1 აგვისტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს - 24 009,6 ლარის გადახდის ვალდებულებისაგან.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები ქონდა ირაკლი ზარქუას, დავით უთმელიძეს, ოთარ გრიგოლიას.

მათ შეკითხვაზე, თუ რატომ ვათავისუფლებთ პიროვნებას პირგასამტეხლოსაგან, ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ მოქალაქის განცხადებით მან გადაიხადა საპრივატიზებო საფასური, თუმცა ამის დამადასტურებელი ქვითრები დაიკარგა. ვინაიდან მთავრობისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით მას გადაეცა სიმბოლურ ფასად აღნიშნული ქონება, აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია მისი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლება.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: დავით აღმაშენებლის ხეივნის მიმდებარედ 19 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:#01.72.14.006.877) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ ალალისთვის“ 9ს/კ 4253623410 იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

მოხსენებელი- ნინო კვეტენაძე

თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მიმდებარედ 19 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.72.14.006.877) პირდაპირი განკარგვის წესით,სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაეცემა შპს „ალალის“ (ს/ნ: 425362341) ღია კაფეს მოსაწყობად. მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასურია - 460 ლარი.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია